



ბრიტანეთის საელჩო
თბილისი

დაუყოვნებლივ გამოქვეყნებისთვის
20 მაისი, 2019

საკონტაქტო პირი

თბილისი: დიანა ჩაჩუა

dchachua@ndi.org, +995 577 77 96 39

ვაშინგტონი: ტონი ავესუ

tawesu@ndi.org, +1 202 728-5500

NDI-ის კვლევა: ევროკავშირისა და ნატო-ს მხარდაჭერა კვლავ ძლიერია, თუმცა რუსეთი და ღირებულებების დაკარგვის შიში გავლენას ახდენს ამ მხარდაჭერაზე; სომხურ და აზერბაიჯანულ დასახლებებს ნატო-ს შესახებ განსხვავებული განწყობები აქვთ

თბილისი – ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტისა (NDI) და CRRC-საქართველოს მიერ დღეს გამოქვეყნებული კვლევა აჩვენებს, რომ ევროკავშირისა და ნატო-ში გაწევრიანების მხარდაჭერა მყარია. მოსახლეობის 77 პროცენტისთვის მისაღებია ევროკავშირში გაწევრიანება, რომელთაგან 55 პროცენტისთვის ეს სრულად არის მისაღები. ხვალ რომ ევროკავშირში გაწევრიანებაზე რეფერენდუმი ტარდებოდეს, 68 პროცენტი ხმას მისცემდა გაწევრიანებას, ხოლო 14 პროცენტი წინააღმდეგი იქნებოდა.

ევროკავშირში გაწევრიანების მომხრეები თავის გადაწყვეტილებას შემდეგი მიზეზებით ხსნიან: ეს ეკონომიკურ ზრდას, უსაფრთხოებას და სამუშაო ადგილებს მოიტანს. 13 პროცენტი, ვისთვისაც მიუღებელია ევროკავშირში გაწევრიანება, მთავარ მიზეზად რუსეთთან კონფლიქტს (39 პროცენტი), რუსეთთან ახლო ურთიერთობების სურვილსა (31 პროცენტი) და იმას ასახელებს, რომ ევროკავშირი საფრთხეს უქმნის ქართულ კულტურას (19 პროცენტი). საგულისხმოა, რომ ევროკავშირში გაწევრიანებაზე მათი პოზიციების მიუხედავად, მოსახლეობის 41 პროცენტი ფიქრობს, რომ ევროკავშირი საფრთხეს უქმნის ქართულ ღირებულებებს.

გამოკითხვის თანახმად, მოსახლეობის უმრავლესობა ფიქრობს, რომ ევროკავშირში გაწევრიანებით საზოგადოების ბევრი ჯგუფი ნახავს სარგებელს, მათ შორის: ფერმერები, სტუდენტები, უმუშევრები, ეთნიკური, რელიგიური და სექსუალური უმცირესობები. გარდა ამისა, მათივე აზრით, გაწევრიანების შემთხვევაში, სხვა საკითხებთან ერთად, განათლების ხარისხი, ხელმისაწვდომი ჯანდაცვა და საქართველოს უსაფრთხოებაც გაუმჯობესდება.

ნატო-ში გაწევრიანებას მოსახლეობის 74 პროცენტი უჭერს მხარს. მოქალაქეების 55 პროცენტისთვის ეს სრულად არის მისაღები. ამავდროულად, სომხური დასახლებების

მოსახლეობის ნახევრისთვის ნატო-ში გაწევრიანება მიუღებელია, ხოლო 28 პროცენტისთვის მისაღებია. მიუხედავად იმისა, რომ ნატო-ს მხარდაჭერა აზერბაიჯანულ დასახლებებშიც დაბალია, იქ ეს არა მხარდაჭერის ნაკლებობით, არამედ მაღალი “არ ვიცი” პასუხით (41 პროცენტი) არის განპირობებული.

მოსახლეობა მიიჩნევს, რომ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ყველაზე მეტად ნატო-სა (28 პროცენტი) და ევროკავშირში (11 პროცენტი) გაწევრიანება, ძლიერი ლიდერის ყოლა (რომელიც ერთპიროვნულად მიიღებს ყველა გადაწყვეტილებას) (11 პროცენტი) და საკუთარი თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება (9 პროცენტი) დაეხმარება. მოსახლეობის უმრავლესობა ფიქრობს, რომ ქვეყნისთვის მთავარ საფრთხეს რუსეთი წარმოადგენს. კერძოდ, 31 პროცენტი მთავარ საფრთხედ რუსეთის სამხედრო აგრესიას, 11 პროცენტი - ოკუპაციას, ხოლო 10 პროცენტი რუსულ პროპაგანდას ასახელებს. თუმცა მონაცემები სომხურ და აზერბაიჯანულ დასახლებებში განსხვავდება. იქ მხოლოდ 3 და 8 პროცენტი (შესაბამისად) მიიჩნევს რუსეთის სამხედრო აგრესიას საფრთხედ. საზოგადოების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ რუსეთს საქართველოს ეკონომიკაზე (43 პროცენტი), პოლიტიკაზე (45 პროცენტი) და ეროვნულ უსაფრთხოებაზე (47 პროცენტი) ნეგატიური გავლენა აქვს.

მაღალი მხარდაჭერის მიუხედავად, მოსახლეობის უმრავლესობა ფიქრობს, რომ საქართველო ევროკავშირში (59 პროცენტი) და ნატო-ში (55 პროცენტი) გაწევრიანებისთვის მზად არ არის. ტერიტორიული კონფლიქტები (36 პროცენტი), რუსეთი (20 პროცენტი) და დემოკრატიის ნაკლებობა (15 პროცენტი) ევროკავშირში გაწევრიანებისთვის დამაბრკოლებელ ფაქტორებად განიხილება; ხოლო ნატოს შემთხვევაში, ოკუპირებული ტერიტორიები (47 პროცენტი), რუსეთი (42 პროცენტი) და დემოკრატიის ნაკლებობა (12 პროცენტი) სახელდება.

“მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ევროკავშირის მხარდაჭერა მყარია, ყურადსაღებია ფართოდ გავრცელებული რწმენა, რომ ევროკავშირი ქართული კულტურისა და ღირებულებებისთვის საფრთხეს წარმოადგენს. ევროკავშირის მხარდაჭერის გაზრდაზე მომუშავე ორგანიზაციებმა მოსახლეობას კარგად უნდა აუხსნან ევროკავშირის წევრობის არსი და მისი მიზნები,” - განაცხადა ლორა თორნტონმა, NDI საქართველოს ოფისის დირექტორმა. - “საინტერესო იყო იმის გაგება, თუ როგორ განსხვავებულად აღიქვამენ ნატო-ს სომხურ და აზერბაიჯანულ დასახლებებში. თუ ეთნიკურად სომეხი მოქალაქეებისთვის ნატო-ში გაწევრიანება მიუღებელია, აზერბაიჯანულ დასახლებებში ნათლად ჩანს სათანადო ინფორმაციის ნაკლებობის პრობლემა. შესაბამისად, აღნიშნულ რეგიონებში კომუნიკაციის განსხვავებული მიდგომებია საჭირო. ასევე, ეთნიკურად აზერბაიჯანულ მოსახლეობასთან უფრო მეტი კომუნიკაცია არის საჭირო.”

NDI იკვლევს საზოგადოებრივ აზრს, რათა დაეხმაროს დაინტერესებულ მხარეებს, გაიგონ და გადაჭრან მოქალაქეებისთვის პრობლემატური საკითხები ზუსტ, მიუკერძოებელ და სტატისტიკურად სწორ მონაცემებზე დაყრდნობით. კვლევის მიზანია, ხელი შეუწყოს ისეთი პოლიტიკისა და მმართველობის ჩამოყალიბებას, რომელიც უფრო მეტად იქნება მორგებული მოსახლეობის საჭიროებებზე. პოლიტიკოსები მიიჩნევენ, რომ კვლევებიდან მიღებული

ინფორმაცია ეხმარება მათ საქმიანობას და გამოთქვამენ სურვილს, კვლავაც გაგრძელებდნენ მსგავსი გამოკითხვები.

აღნიშნული კვლევა, 2019 წლის 28 მარტი-15 აპრილის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით 2,927 პირისპირი ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე, ქვეყნის ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულენოვან სრულწლოვან მოსახლეობას შორის ჩატარდა (ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით). კვლევა ასევე წარმომადგენლობითია აზერბაიჯანული და სომხური დასახლებებისთვის. გამოკითხვის საშუალო ცდომილების ზღვარი არის +/- 2.3 პროცენტი.

NDI-ის კვლევები ხორციელდება დიდი ბრიტანეთის მთავრობის UK aid-ის ფინანსური ხელშეწყობით და ატარებს CRRC საქართველო.

-დასასრული-

NDI არის არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს დემოკრატებთან მსოფლიოს ყველა რეგიონში, რათა გააძლიეროს პოლიტიკური და სამოქალაქო ორგანიზაციები, ხელი შეუწყოს არჩევნების სამართლიანად ჩატარებას, მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მთავრობის ანგარიშვალდებულებას. დამატებითი ინფორმაცია: www.ndi.org

CRRC საქართველო არის არასამთავრობო, არაკომერციული კვლევითი ცენტრი, რომელიც აგროვებს, ანალიზებს და აქვეყნებს მონაცემებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესების შესახებ. ორგანიზაციის მიზანია საზოგადოებრივი მეცნიერებების კვლევებისა და საჯარო პოლიტიკის ანალიზის განვითარების ხელშეწყობა. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე : www.crcc.ge